|-----------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                                   |                                                         |                                                         |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                                                        | (1,050)                                                 | (449)                                                   |
| არამატერიალური აქტივების შეძენა                                                                     | (29)                                                    | (120)                                                   |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                            | <b>(1,079)</b>                                          | <b>(569)</b>                                            |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                                      |                                                         |                                                         |
| გადახდილი დივიდენდები                                                                               | -                                                       | (317)                                                   |
| დაფარული სესხები                                                                                    | (23,744)                                                | (25,250)                                                |
| მიღებული სესხები                                                                                    | 19,116                                                  | 20,807                                                  |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                               | <b>(4,628)</b>                                          | <b>(4,760)</b>                                          |
| ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წმინდა<br>ზრდა/კლება                                             | (8,284)                                                 | 3,243                                                   |
| უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე<br>ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე<br>პერიოდის დასაწყისში | 8                                                       | 190                                                     |
|                                                                                                     | 14,823                                                  | 11,390                                                  |
| <b>ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე<br/>პერიოდის ბოლოს</b>                              | <b>6,547</b>                                            | <b>14,823</b>                                           |

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 14-50 გვერდებზე  
წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად..

# კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

## 1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს “გაერთიანებული საფინანსო ჯგუფი” არის საინვესტიციო კომპანია, რომელიც ფლობს მისი შვილობილი კომპანიების კაპიტალში წილებს.

შპს “გაერთიანებული საფინანსო ჯგუფი” დარეგისტრირებულია მისამართზე: თამარ მეფის გამზირი №2, თბილისი, საქართველო.

## 2 შედგენის საფუძველი

### 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### 2.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკოტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

### 2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

### 2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის,

ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 15-ე შენიშვნაში.

## 2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად საგაღებულოა 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება ჯგუფის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და დამატებები პირველად გამოყენებულია 2017 წელს, მათ არ აქვთ არსებითი გავლენა ჯგუფის წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2018 წელს ცვლილებები შევიდა ბასს 2 “*მარაგები*” და ბასს 16 “*ძირითადი საშუალებები*”. ცვლილების შედეგად, ჩასწორებულია თარგმანი, რომ არ მომხდარიყო სტანდარტის არასწორად გაგება და ინტერპრეტირება

**ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის.**

განმარტებების ინიციატივა (განახლებები ბასს 7-ში ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება).

ბასს 7-ში შეტანილი განახლებები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრიდანაა ძალაში, მოითხოვენ განმარტებების წარდგენას ვალდებულებებში ფინანსური აქტივობების შედეგად გამოწვეული ცვლილებების შესახებ. ჯგუფი აღნიშნულ ცვლილებებს აკატეგორიზებს ფულის მოძრაობიდან ცვლილებებად და არაფულად ცვლილებებად და შემდეგ კიდევ ყოფს ქვეკატეგორიებად, როგორც ამას ბასს 7 მოითხოვს

### წლიური განახლებები 2014-2016

2014-2016 წლის განახლებების მიხედვით უმნიშვნელო ცვლილებები შევიდა სხვადასხვა ფასს-ებში. ჯგუფთან დაკავშირებული ცვლილებები შეჯამებულია ქვემოთ.

ფასს 12 “*განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ*”

სტანდარტის მოქმედების სფეროს დაზუსტება.

ფასს 12-ის ცვლილების გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტულად ბასს-8-ის შესაბამისად.

**სტანდარტები, განახლებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არაა ძალაში შესული და რომელთა ადაპტირება ჯერ არ მომხდარა ჯგუფის მიერ.**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, ზოგიერთი ახალი სტანდარტი, შესწორება და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაცია, გამოქვეყნებული ბასსს–ს მიერ, ჯერ არაა ძალაში შესული და მათი ადაპტირება არ მომხდარა ჯგუფის მიერ.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაბამისი დებულება იქნება დანერგილი ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში მათი ძალაში შესვლის შემდეგ პირველივე სააღრიცხვო პერიოდში. ინფორმაცია, ახალ სტანდარტებზე, შესწორებებსა და ინტერპრეტაციებზე, რომლებიც შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებას, მოცემულია ქვემოთ. სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოცემულია, მოსალოდნელია, რომ არსებით გავლენას არ იქონიებს ჯგუფის ანგარიშებზე.

#### ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ ბასსს-მ გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”-თან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 “ფინანსური ინსტრუმენტები”: აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე და შემოაქვს ახალი განსაზღვრება “მოსალოდნელი ზარალი” ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9, ასევე გვთავაზობს ახალ სახელმძღვანელო მითითებებს ჰეჯირების აღრიცხვაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ახალი სტანდარტი მოთხოვნის მიხედვით, გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ.

#### ფასს 16 “იჯარა”

ფასს 16 წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოითხოვს იჯარა აღირიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი “გამოყენების უფლებით” და საიჯარო ვალდებულება.

#### ფასს 16 ასევე:

- ცვლის იჯარის განმარტებას;
- აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღვრიცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები, როგორებიცაა არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და იჯარის (გამოყენების) ვადა;
- ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე;
- ცვლის აღრიცხვას გაყიდვის და უკუიჯარის გარიგებებზე;

- ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას;
- გვაცნობს ახსნა განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს.

ფასს 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტის ვადამდელი გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ფასს 15 “ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.” ხელმძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია ამ ცვლილების გავლენა ფინანსურ ნაგარიშგებაზე.

ფასს 15 “ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან”

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლებს ბასს 18 *ამონაგებს*, ბასს 11 *სამშენებლო კონტრაქტებს* და რამდენიმე ამონაგებთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ახალი სტანდარტი აყალიბებს კონტროლთან დაკავშირებული ამონაგების აღიარების მოდელს და იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს სხვადასხვა სფეროებზე, რომლებიც არსებულ ფასს-ებში არ იყო დეტალურად განხილული, მათ შორის, როგორ აღირიცხოს ბუღალტრულად მრავალპროფილიანი ვალდებულებები, ცვალებადი ანაზღაურება, ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულებები, შესყიდვა დაბრუნების უფლებით და სხვა მსგავსი კომპლექსური საკითხები.

ფასს 15 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

## 2.6 შვილობილი კომპანიები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს:

| შვილობილი             | წილი % | ქვეყანა    | დაარსების თარიღი  | საქმიანობის სფერო                                 |
|-----------------------|--------|------------|-------------------|---------------------------------------------------|
| შპს კმ ჯორჯია         | 67%    | საქართველო | 1 აგვისტო 2016    | კერამიკული ფილების იმპორტი და ვაჭრობა             |
| შპს ინექსფონი         | 70%    | საქართველო | 13 დეკემბერი 2007 | სატელეკომუნიკაციო მომსახურება                     |
| შპს ინექს გრუპი       | 85%    | საქართველო | 29 ოქტომბერი 2010 | ამანათების ტრანსპორტირება                         |
| სს მისო ინტელექსპრესი | 85%    | საქართველო | 2006 წელი         | მიკროსაფინანსო ორგანიზაცია                        |
| შპს lucky group       | 72.25% | საქართველო | 3 დეკემბერი 2010  | ტურისტული საქმიანობა                              |
| <b>მეკავშირე</b>      |        |            |                   | ძვირფასი მეტალების და ანტიკვარიატის ყიდვა-გაყიდვა |
| შპს გოა და კომპანია   | 20%    | საქართველო | 15 დეკემბერი 1996 |                                                   |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს:

| შვილობილი             | წილი % | ქვეყანა    | დაარსების თარიღი  | საქმიანობის სფერო                                 |
|-----------------------|--------|------------|-------------------|---------------------------------------------------|
| შპს კმ ჯორჯია         | 67%    | საქართველო | 1 აგვისტო 2016    | კერამიკული ფილების იმპორტი და გაჭრობა             |
| შპს ინექსფონი         | 70%    | საქართველო | 13 დეკემბერი 2007 | სატელეკომუნიკაციო მომსახურება                     |
| შპს ინექსგრუპი        | 85%    | საქართველო | 29 ოქტომბერი 2010 | ამანათების ტრანსპორტირება                         |
| სს მისო ინტელექსპრესი | 85%    | საქართველო | 2006 წელი         | მიკროსაფინანსო ორგანიზაცია                        |
| შპს lucky group       | 72.25% | საქართველო | 3 დეკემბერი 2010  | ტურისტული საქმიანობა                              |
| <b>მეკავშირე</b>      |        |            |                   | ძვირფასი მეტალების და ანტიკვარიატის ყიდვა-გაყიდვა |
| შპს გოა და კომპანია   | 20%    | საქართველო | 15 დეკემბერი 1996 |                                                   |

### 3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

#### 3.1 კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, საწარმოთა გაეთიანებისას, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი რეალური ღირებულებით, არამაკონტროლებელი წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი ღირებულება აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, აღიარდება როგორც გუდვილი. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია ჯგუფის წილზე, შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება პირდაპირ მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ

არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე.

*კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ოპერაციები*

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

## 3.2 უცხოური ვალუტა

*უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები*

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.0701 (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი, ერთი ევრო 3.1044). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## 3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების

ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

|                                           |             |
|-------------------------------------------|-------------|
| შენობა ნაგებობები                         | - 50 წელი   |
| კომპიუტერები და საკომუნიკაციო აღჭურვილობა | - 5 წელი    |
| საოფისე აღჭურვილობა                       | - 5 წელი    |
| სატრანსპორტო საშუალებები                  | - 5 წელი    |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა       | - 5-10 წელი |
| სხვა აქტივები                             | - 5 წელი    |

### 3.4 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, ნაცვლად ამისა, ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და ყოველთვის როდესაც არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

### 3.5 იჯარა

ბასს 17 იჯარის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარე ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად რომ, ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, მაგალითად ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა, შეესაბამება ჯგუფის მიერ იურიდიულად ფლობილ შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდელებს გამოკლებული საპროცენტო დანახარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს მუდმივ პროპორციას, საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის

მიმართ და ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა შენახვის და სადაზღვეო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

### 3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ერთ-ერთი შევილობისლი კომპანია შპს “კმ ჯორჯია” მარაგებს აღრიცხავს საშუალო შეწონილი მეთოდით, მაგრამ კონსოლიდაციის მიზნებისათვის ანგარიშგებაში წარდგენილი რიცხვები (მარაგების მხრივ) არის შესაღარიპი.

### ფინანსური ინსტრუმენტები

*ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა*

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებდა, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური

აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

### *ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება*

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად შეესაბამება, იმას თუ, მისგან გამოწვეული შემოსავალი ან ხარჯი აისხება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში.

ზოგადად, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად “ფინანსური ხარჯი”, “ფინანსური შემოსავალი” ან სხვა “ფინანსური ხარჯი”, გარდა სავაჭრო მოთხოვნების საექვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა არასაოპერაციო ხარჯების სახით.

### *სესხები და მოთხოვნები*

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებს.

### *სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ჯგუფი ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბაზანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა

ხდება არსებული საექსპერტო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

### *ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე*

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

### *ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით*

ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ეფუძნება რეალურ ღირებულებაში ცვლილებას, ხოლო არააქტიურ ბაზარზე, შეფასების მოდელის გამოყენებას.

### *ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება*

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია.

### *სასესხო ვალდებულებები*

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

### *სავაჭრო და სხვა ვალდებულებები*

საგაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

### 3.7 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

#### *გუდვილის გაუფასურება*

გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც მენეჯმენტი ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტირება წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე პირველ რიგში ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე ღირებულებას, რომელიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება.

#### *ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება*

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას,

რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

### *ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ყოველ საანგარიშგებო პერიოდში რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასდება გაუფასურების მაჩვენებლებზე. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის ალბათობა, ინვესტიციის სამომავლო ფულად ნაკადებზე მოახდენს გავლენას.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევასთან, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ზარალზე იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

სავაჭროდ გამიზნული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, რეალური ღირებულების ნებისმიერი მატება შემდგომი გაუფასურებით, უნდა აღიარდეს კაპიტალში.

### **3.8 კაპიტალი**

ჯგუფის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია ჯგუფის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია ჯგუფის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

### 3.9 ანარიცხები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა. როცა ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია, ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება მოვალეობის შესასრულებლად, დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

### 3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ ჯგუფი მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა ჯგუფის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და ჯგუფს განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა. 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახდის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება ჯგუფში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ ჯგუფში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

### 3.11 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდამოშები და ჯგუფის მიერ დაშვებული სხვა შედავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდამოშებით და სხვა მსგავსი შედავათებით.

#### *საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება*

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალდებულო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდებიან პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შექმნასთან დაკავშირებით, ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ. კრედიტუნარიანობის

შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება.

როდესაც სესხები და სხვა სავალ ინსტრუმენტები ხდება რთულად ამოსაღები, ისინი მიეწერება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას და ამის შემდგომ საპროცენტო შემოსავალი ჩაიწერება მიმდინარე ღირებულების დისკონტით აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელიც გამოყენებულ იქნა გაუფასურებული ზარალის დასათვლელად.

#### *შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან*

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ჯგუფმა გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა ჯგუფში; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

#### *მომსახურების გაწევა*

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა ჯგუფში;
- ანგარიშების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

#### *საიჯარო შემოსავალი*

საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით, საიჯარო ვადის შესაბამისად.

### **3.12 მოსაკრებლები, საკომისიოები, სხვა შემოსავლები და ხარჯები**

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებაში, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით საოპერაციო იჯარის ვადის ამოწურვამდე. იჯარიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როგორც მთლიანი იჯარის განუყოფელი ნაწილი იჯარის ვადის განმავლობაში.

### **3.13 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები**

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. ჯგუფის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

#### 4 ძირითადი საშუალებები

ათსი ლარი

|                                                | მიწა და<br>შენობები | კომპიუტერები და<br>კომუნიკაციის<br>საშუალებები | ავტომობილები | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | საოფისე<br>აღჭურვილობა | სხვა<br>აქტივები | სულ          |
|------------------------------------------------|---------------------|------------------------------------------------|--------------|----------------------------------------------|------------------------|------------------|--------------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>                    | -                   |                                                |              |                                              |                        |                  |              |
| 2016 წლის 31 დეკემბერი                         | 2,769               | 618                                            | 180          | 118                                          | 147                    | 387              | <b>4,219</b> |
| შემოსვლა                                       | -                   | 77                                             | 234          | 40                                           | 19                     | 79               | <b>449</b>   |
| 2017 წლის 31 დეკემბერი                         | <b>2,769</b>        | <b>695</b>                                     | <b>414</b>   | <b>158</b>                                   | <b>166</b>             | <b>466</b>       | <b>4,668</b> |
| შემოსვლა                                       | 566                 | 128                                            | 61           | 33                                           | 45                     | 217              | <b>1,050</b> |
| გასვლები                                       | (427)               | (1)                                            | (11)         | -                                            | -                      | -                | <b>(439)</b> |
| 2018 წლის 31 დეკემბერი                         | <b>2,908</b>        | <b>822</b>                                     | <b>464</b>   | <b>191</b>                                   | <b>211</b>             | <b>683</b>       | <b>5,279</b> |
| <b>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</b>          | -                   | -                                              | -            | -                                            | -                      | -                |              |
| 2016 წლის 31 დეკემბერი                         | <b>389</b>          | <b>441</b>                                     | <b>77</b>    | <b>72</b>                                    | <b>88</b>              | <b>174</b>       | <b>1,241</b> |
| პერიოდის ცვეთა                                 | 63                  | 57                                             | 32           | 6                                            | 21                     | 59               | <b>238</b>   |
| 2017 წლის 31 დეკემბერი                         | <b>452</b>          | <b>498</b>                                     | <b>109</b>   | <b>78</b>                                    | <b>109</b>             | <b>233</b>       | <b>1,479</b> |
| პერიოდის ცვეთა                                 | 61                  | 68                                             | 47           | 10                                           | 23                     | 93               | <b>302</b>   |
| 2018 წლის 31 დეკემბერი                         | <b>513</b>          | <b>566</b>                                     | <b>156</b>   | <b>88</b>                                    | <b>132</b>             | <b>326</b>       | <b>1,781</b> |
| <b>ნარჩენი ღირებულება</b>                      |                     |                                                |              |                                              |                        |                  |              |
| ნარჩენი 2016 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | <b>2,380</b>        | <b>177</b>                                     | <b>103</b>   | <b>46</b>                                    | <b>59</b>              | <b>213</b>       | <b>2,978</b> |
| ნარჩენი 2017 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | <b>2,317</b>        | <b>197</b>                                     | <b>305</b>   | <b>80</b>                                    | <b>57</b>              | <b>233</b>       | <b>3,189</b> |
| ნარჩენი 2018 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | <b>2,395</b>        | <b>256</b>                                     | <b>308</b>   | <b>103</b>                                   | <b>79</b>              | <b>357</b>       | <b>3,498</b> |

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ძირითადი საშუალებები ღირებულებით 1,484 ათასი ლარი (მთლიანი ძირითადი საშუალებების 42%) ჩადებულია უზრუნველყოფაში ჯგუფის მიერ ბანკებისგან აღებული სესხისთვის.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ძირითადი საშუალებები ღირებულებით 1,941 ათასი ლარი (მთლიანი ძირითადი საშუალებების 61%) ჩადებულია უზრუნველყოფაში ჯგუფის მიერ ბანკებისგან აღებული სესხისთვის.

## 5 არამატერიალური აქტივები

| ათასი ლარი                                  | არამატერიალური აქტივები |                         |                    |     |
|---------------------------------------------|-------------------------|-------------------------|--------------------|-----|
|                                             | ლიცენზიები              | პროგრამული უზრუნველყოფა | დანერგვის პროცესში | სულ |
| <b>ისტორიული ღირებულება</b>                 |                         |                         |                    |     |
| 2016 წლის 31 დეკემბერი                      | 131                     | 163                     | 408                | 702 |
| სხვა ვალდებულებები                                         | 273                                  | -                                   | -                                   | -                                    | 273           |
|                                                            | <b>12,845</b>                        | <b>2,589</b>                        | <b>50</b>                           | <b>-</b>                             | <b>15,484</b> |
| <b>ლიკვიდურობის სხვაობა</b>                                | <b>994</b>                           | <b>(18)</b>                         | <b>1,263</b>                        | <b>1,104</b>                         | <b>3,343</b>  |
| <b>წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა</b>                         | <b>994</b>                           | <b>976</b>                          | <b>2,239</b>                        | <b>3,343</b>                         |               |

| ათასი ლარი                                                 | 1 წელზე<br>ნაკლები<br>ვადის<br>მქონე | 1-დან<br>3 წლამდე<br>ვადის<br>მქონე | 3-დან 5<br>წლამდე<br>ვადის<br>მქონე | 5 წელზე<br>მეტი<br>ვადის<br>მქონე | სულ           |
|------------------------------------------------------------|--------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|-----------------------------------|---------------|
| <b>2017 წლის 31 დეკემბრისთვის</b>                          |                                      |                                     |                                     |                                   |               |
| <b>ფინანსური აქტივები</b>                                  |                                      |                                     |                                     |                                   |               |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                                | 14,823                               | -                                   | -                                   | -                                 | 14,823        |
| ფულადი გზავნ. კომპ. მისაღები<br>თანხა                      | 19,996                               | -                                   | -                                   | -                                 | 19,996        |
| გაცემული სესხები                                           | 4,613                                | 3,238                               | 183                                 | 85                                | 8,119         |
| სხვა აქტივები                                              | 346                                  | -                                   | -                                   | -                                 | 346           |
|                                                            | <b>39,778</b>                        | <b>3,238</b>                        | <b>183</b>                          | <b>85</b>                         | <b>43,284</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>                             |                                      |                                     |                                     |                                   |               |
| მიღებული სესხები                                           | 2,167                                | 9,359                               | 50                                  | -                                 | 11,576        |
| ფულადი გზავნილების<br>კომპანიებისთვის გადასახდელი<br>თანხა | 31,502                               | -                                   | -                                   | -                                 | 31,502        |
| სხვა ვალდებულებები                                         | 170                                  | -                                   | -                                   | -                                 | 170           |
|                                                            | <b>33,839</b>                        | <b>9,359</b>                        | <b>50</b>                           | <b>-</b>                          | <b>43,248</b> |
| <b>ლიკვიდურობის სხვაობა</b>                                | <b>5,939</b>                         | <b>(6,121)</b>                      | <b>133</b>                          | <b>85</b>                         | <b>36</b>     |
| <b>წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა</b>                         | <b>5,939</b>                         | <b>(182)</b>                        | <b>(49)</b>                         | <b>36</b>                         |               |

## 17 რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება რაც, შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. ჯგუფი იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზარო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

ჯგუფი ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღრიცხულია რეალური ღირებულებით

და ამოსავალი მონაცემები 1-3 დონეებად იყოფა. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- 1-ლი დონე – რეალური ღირებულება განსაზღვრულია იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასებით (გაუკორექტირებელი);
- მე-2 დონე - რეალური ღირებულება განისაზღვრება მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემით, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- მე-3 დონე – რეალური ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს აქტივების და ვალდებულებების შესახებ არაემპირიულ მონაცემებს, (არადაკვირვებადი მონაცემები).

## **17.1 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება**

ჯგუფს არ გააჩნია ფინანსური აქტივები ან ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც რეგულარულ საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით წარედგინება ბალანსში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

## **18 კაპიტალის რისკის მართვა**

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და დამფუძნებლები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისგან, რომელიც მოიცავს სესხებს, განხილულია შენიშვნა 12-ში.

ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს.

## **19 გაუთვალისწინებელი გარემოებები**

### **19.1 ბიზნეს გარემო**

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას

ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებული ეკონომიკური სტრუქტურას, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. ეროვნული ვალუტის დამატებითი გაუფასურება იწვევს იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდას. არსებობს გაურკვევლობა მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვისა. ამ და სხვა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და ჯგუფის მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ გაურკვევლობაში ჩართული რიგი ცვლადები და ვარაუდები, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ ჯგუფის რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება ჯგუფის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

## **19.2 გადასახადები**

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოსი, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

## **20 დაკავშირებული მხარეები**

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი სათაო და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები და მმართველი ხელმძღვანელობა.

### **20.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები**

ჯგუფის უმსხვილეს აქციონერს წარმოადგენს ლია ასლანიდი, რომელსაც გააჩნია მაკონტროლებელი წილი.

### **20.2 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები**

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ათასი ლარი

ნაშთი

| დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის 31 დეკემბერი | სხვა აქტივები | მიღებული სესხები | გადასახდელი პროცენტი | გადახდილი პროცენტი | გაცემული სესხები | მიღებული პროცენტი |
|------------------------------------------------|---------------|------------------|----------------------|--------------------|------------------|-------------------|
| აქციონერები                                    | -             | 2,585            | -                    | -                  | 74               | -                 |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები               | -             | 50               | 19                   | -                  | 100              | -                 |
| სხვა დაკავშირებული მხარეები                    | 627           | 1,551            | 127                  | 188                | 179              | 72                |
|                                                | <b>627</b>    | <b>4,186</b>     | <b>146</b>           | <b>188</b>         | <b>353</b>       | <b>72</b>         |

ათასი ლარი

| ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის 31 დეკემბერი | ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ნამეტი | საპროცენტო შემოსავალი | საპროცენტო ხარჯი | ხელფასის ხარჯი | ლომბარდის მომსახურების ხარჯი |
|-------------------------------------------------------------|---------------------------------------------------|-----------------------|------------------|----------------|------------------------------|
| აქციონერები                                                 | 3                                                 | 3                     | -                | 49             | -                            |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები                            | -                                                 | 16                    | -                | 204            | -                            |
| სხვა დაკავშირებული მხარეები                                 | -                                                 | 211                   | 148              | 72             | 142                          |
|                                                             | <b>3</b>                                          | <b>230</b>            | <b>148</b>       | <b>325</b>     | <b>142</b>                   |

ათასი ლარი

| ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წლის 31 დეკემბერი | სხვა აქტივები | მიღებული სესხები | გადასახდელი პროცენტი | გადახდილი პროცენტი | გაცემული სესხები | გადახდილი დივიდენდი | მიღებული პროცენტი |
|------------------------------------------------------|---------------|------------------|----------------------|--------------------|------------------|---------------------|-------------------|
| აქციონერები                                          | -             | 65               | -                    | -                  | -                | 317                 | 1                 |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები                     | -             | 32               | -                    | 6                  | 3                | -                   | 12                |
| სხვა დაკავშირებული მხარეები                          | 142           | 3,330            | 173                  | 338                | 1,640            | -                   | 26                |
|                                                      | <b>142</b>    | <b>3,427</b>     | <b>173</b>           | <b>344</b>         | <b>1,643</b>     | <b>317</b>          | <b>39</b>         |

ათასი ლარი


| ტრანზაქციები<br>დაკავშირებულ<br>მხარეებთან 2017<br>წლის 31 დეკემბერი | საპრო-<br>ცენტო<br>შემო-<br>სავალი | საპრო-<br>ცენტო<br>ხარჯი | ხელფა-<br>სის<br>ხარჯი | ლომბა-<br>რდის<br>მომსა-<br>ხურების<br>ხარჯი |
|----------------------------------------------------------------------|------------------------------------|--------------------------|------------------------|----------------------------------------------|
| აქციონერები                                                          | -                                  | -                        | 19                     | -                                            |
| უმაღლესი<br>ხელმძღვანელობის<br>წევრები                               | 13                                 | 6                        | 359                    | -                                            |
| სხვა დაკავშირებული<br>მხარეები                                       | 23                                 | 318                      | 52                     | 142                                          |
|                                                                      | <b>36</b>                          | <b>324</b>               | <b>430</b>             | <b>142</b>                                   |

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ჯგუფის ძირითადი მიზნები და ის საორიენტაციო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ჯგუფის საქმიანობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის არსებობიდან განვლილი პერიოდის მოკლე აღწერას, ამ მანძილზე არსებული მიღწევებისა და ჯგუფის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

დოკუმენტი აერთიანებს ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მომხმარებელთათვის შეთავაზებული პროდუქტების შესახებ ინფორმაციას. ამასთანავე, წინამდებარე დოკუმენტი აცნობს მის მკითხველს კომპანიის მიერ დასახულ სამომავლო გეგმებსა და ბიზნესის განვითარების შესახებ ძირითად ხედვას. მმართველობითი ანგარიშგება ასევე შეიცავს ინფორმაციას იმ არსებითი რისკების შესახებ, რომელიც ქმნის ან შესაძლოა შექმნას წინაღობები ბიზნესის საქმიანობაში და კომპანიის მიერ შემუშავებულ გეგმებს მათი თავიდან აცილებისა და მათთან გამკლავების მიზნით.

გიორგი სურგულაძე



გენერალური დირექტორი

შპს გაერთიანებული საფინანსო ჯგუფი

თარიღი: 28 სექტემბერი 2019წ

# მმართველობის ანგარიშგება

შპს გაერთიანებული საფინანსო ჯგუფი

2018 წელი

## ს ა რ ზ ე ვ ი

|                                                       |    |
|-------------------------------------------------------|----|
| შესავალი.....                                         | 3  |
| ინფორმაცია ჯგუფის შესახებ .....                       | 4  |
| ჯგუფის საქმიანობის სახე.....                          | 5  |
| გეოგრაფიული დაფარვის არეალი .....                     | 8  |
| ინფორმაცია ფილიალების შესახებ.....                    | 8  |
| ინფორმაცია ჯგუფის ძირითადი პარტნიორების შესახებ ..... | 9  |
| ჯგუფის განვითარების გეგმა.....                        | 9  |
| რისკების მართვა.....                                  | 12 |

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ჯგუფის ძირითადი მიზნები და ის საორიენტაციო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ჯგუფის საქმიანობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის არსებობიდან განვლილი პერიოდის მოკლე აღწერას, ამ მანძილზე არსებული მიღწევებისა და ჯგუფის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

დოკუმენტი აერთიანებს ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მომხმარებელთათვის შეთავაზებული პროდუქტების შესახებ ინფორმაციას. ამასთანავე, წინამდებარე დოკუმენტი აცნობს მის მკითხველს კომპანიის მიერ დასახულ სამომავლო გეგმებსა და ბიზნესის განვითარების შესახებ ძირითად ხედვას. მმართველობითი ანგარიშგება ასევე შეიცავს ინფორმაციას იმ არსებითი რისკების შესახებ, რომელიც ქმნის ან შესაძლოა შექმნას წინაღობები ბიზნესის საქმიანობაში და კომპანიის მიერ შემუშავებულ გეგმებს მათი თავიდან აცილებისა და მათთან გამკლავების მიზნით.

გიორგი სურგულაძე

გენერალური დირექტორი

შპს გაერთიანებული საფინანსო ჯგუფი

თარიღი: 28 სექტემბერი 2019წ

### ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

მშობელი კომპანია შპს გაერთიანებული საფინანსო ჯგუფი დაფუძნდა 2004 წლის 17 თებერვალს. დამფუძნებელი არის ლია ასლანიდი რომელიც ფლობს სრულ პაკეტს (100%)

ჯგუფში შედის 6 კომპანია მათ შორის ერთ მეკავშირე საწარმო

ჯგუფის სტრუქტურა:

| შვილობილი             | წილი%  | ქვეყანა    | დაარსების თარიღი  | საქმიანობის სფერო                     |
|-----------------------|--------|------------|-------------------|---------------------------------------|
| შპს კმ ჯორჯია         | 67%    | საქართველო | 1 აგვისტო 2016    | კერამიკული ფილების იმპორტი და ვაჭრობა |
| შპს ინექსფონი         | 70%    | საქართველო | 13 დეკემბერი 2007 | სატელეკომუნიკაციო მომსახურება         |
| შპს ინექს გრუპი       | 85%    | საქართველო | 29 ოქტომბერი 2010 | ამანათების ტრანსპორტირება             |
| სს მისო ინტელექსპრესი | 85%    | საქართველო | 2006 წელი         | მიკროსაფინანსო ორგანიზაცია            |
| შპს lucky group       | 72.25% | საქართველო | 3 დეკემბერი 2010  | ტურისტული საქმიანობა                  |

### მეკავშირე

|                    |     |            |                   |                                                    |
|--------------------|-----|------------|-------------------|----------------------------------------------------|
| შპს გოა და კომპანი | 20% | საქართველო | 15 დეკემბერი 1996 | ძვირფასი მეტალებისა და ანტიკვარიატის ყიდვა-გაყიდვა |
|--------------------|-----|------------|-------------------|----------------------------------------------------|

ჯგუფში გაერთიანებულია: ფულადი გზავნილები, საკრედიტო მომსახურება, სავალუტო ოპერაციები, ამანათების ტრანსპორტირება, სატელეფონო კომუნიკაცია, ტურისტული მომსახურება და კერამიკული ფილებით ვაჭრობა.

ჯგუფმა განვლილი პერიოდის მანძილზე მსოფლიოს მასშტაბით უცხოურ ბანკებთან, ფინანსურ ინსტიტუტებსა და საგადახდო სისტემებთან თანამშრომლობის დამყარების საფუძველზე, შეძლო ფულადი გზავნილების სფეროში საქმიანობის არეალის გაფართოება და შექმნა თავისი ფულადი გზავნილების სისტემა. დღევანდელი მდგომარეობით ფულადი გზავნილების განმახორციელებელი სისტემა ინტელექსპრესი წარმოდგენილია მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში.

სატელეკომუნიკაციო სფეროში ჯგუფმა შექმნა თავისი მობილური აპლიკაცია (inexPHONE), რომლის მეშვეობითაც ხდება ზარებია განხორციელება საერთაშორისო დონეზე.

მიუხედავად ჯგუფის მრავალმხრივი პროფილისა მისთვის უმთავრეს მამოძრავებელ მიზანს წარმოადგენს ემიგრანტებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის ფინანსური სერვისების შეთავაზება.

კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომლის კომპეტენციაც მოიცავს კომპანიის არსებით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას. კომპანიის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს 3 პირისაგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო კომპანიის საქმიანობის ყოველდღიურ მართვას კი გენერალური დირექტორი.

## *ჯგუფის საქმიანობის სახე*

### *ფულადი გზავნილების განხორციელების მომსახურება*

ჯგუფმა ფულადი გზავნილების სფეროში საქმიანობის განხორციელება დაიწყო 2007 წელს ეროვნულ ბანკის მიერ რეგისტრაციის შემდგომ. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ფულადი გზავნილების განხორციელებას:

- *საერთაშორისო დონეზე;*
- *ლოკალურ დონეზე.*

ინტელექსპრესი, როგორც საგადახდო სისტემა საერთაშორისო ფულადი გზავნილის განხორციელებისას ახდენს:

- ფიზიკური პირისგან მიღებული საგადახდო დავალების საფუძველზე ფულადი გზავნილის შესრულებას მიმღები ფიზიკური პირის სასარგებლოდ. პარტნიორი საგადახდო სისტემისაგან გამოგზავნილი ფულადი გზავნილის განაღდება;
- გამგზავნი აგენტის ფუნქციის შეთავსებას, რა დროსაც ფულადი გზავნილი სისტემა ინტელექსპრესის მეშვეობით ეგზავნება პარტნიორ საგადახდო სისტემას მისი განაღდებას მიზნით.

### *ვალუტის კონვერტაციის მომსახურება*

ჯგუფი მომხმარებელს ვალუტის კონვერტაციის სერვისს სთავაზობს 2007 წლიდან ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ჯგუფი წარმოადგენს ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის მონაწილე ორგანიზაციას. აღნიშნული ჯგუფს აძლევს შესაძლებლობას ივაჭროს ფინანსური ინსტიტუტების ძირითად სავაჭრო პლატფორმაზე დამოუკიდებლად და შესაბამისად, შეთავაზოს მომხმარებელს ვალუტის კონვერტაციისათვის სახარბიელო პირობები. 2018 წლის განმავლობაში ჯგუფმა განახორციელა 30-ზე მეტი ვალუტის კონვერტაცია. ვალუტის კონვერტაციის სფეროში კომპანია მომხმარებელს სთავაზობს:

- *სალაროს ოპერაციებს* - აღნიშნული მომსახურება მოიცავს კომპანიის ფილიალებში მომხმარებლის მოთხოვნის თანახმად ვალუტის მყისიერ კონვერტაციას კომპანიაში არსებული კომერციული კურსის შესაბამისად;
- *ორვალუტიანი ფულადი გზავნილი (Transfer Exchange)* - მოც. პროდუქტი წარმოადგენს ერთგვარ ჰიბრიდულ პროდუქტს, რომელიც აერთიანებს როგორც ვალუტის კონვერტაციის, ასევე ფულადი გზავნილის მომსახურებას. ორვალუტიანი ფულადი გზავნილის განხორციელების შემთხვევაში, კომპანია მომხმარებლის მითითების შესაბამისად ახდენს

ფულადი თანხის სასურველ ვალუტაში კონვერტაციასა და კონვერტირებული თანხის გზავნილის მიმღებ სუბიექტზე გაცემას.

### *საკრედიტო მომსახურება*

ჯგუფი მიკრო დაკრედიტების ბაზარს შეუერთდა 2009 წელს. თავდაპირველად საკრედიტო მომსახურება დაიწყო მომხმარებელთათვის სალომბარდე სესხების შეთავაზებით. დღევანდელი მონაცემებით, სალომბარდე სესხები საკრედიტო პორტფელის 60%-ს შეადგენს.

2011 წელს ჯგუფმა ერთ-ერთ წამყვან ქართულ ბანკთან თანამშრომლობით დაიწყო იპოთეკური სესხების გაცემა. დასახელებული იპოთეკური სესხების გაცემის პროცესში ჯგუფი წარმოადგენდა შუამავალ რგოლს ბანკსა და ერთგულ მომხმარებელს შორის. 2014 წლიდან იპოთეკური სესხების გაცემა დაიწყო საკუთარი რესურსით.

იპოთეკურ დაკრედიტებას სთავაზობს ფულადი გზავნილის მომხმარებელ პირებს მათ მიერ განხორციელებული ფულადი გზავნილების ისტორიაზე დაყრდნობით. იპოთეკური სესხის განაცხადის დეტალური შესწავლა/ანალიზი ხორციელდება კომპანიაში დასაქმებული მაღალ-კვალიფიციური საკრედიტო ოფიცრების მიერ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება იპოთეკური სესხების გაცემის შესახებ მიიღება გენერალური დირექტორის, კომპანიის საკრედიტო და იურიდიული განყოფილებების უფროსებისაგან დაკომპლექტებული საკრედიტო კომიტეტის მიერ.

საკრედიტო მომსახურების კუთხით ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს შემდეგ პროდუქტებს:

- სალომბარდე სესხები - სწრაფი, მოკლე-ვადიანი სესხის სახე, რომლის უზრუნველყოფაც ხორციელდება ძვირფასი ლითონებით (უმეტესწილად ოქროთი) დამზადებული ნაკეთობებით;
- იპოთეკური სესხები - უძრავი ქონების შეძენის, რემონტისა თუ სამომხმარებლო მიზნობრიობით გაცემული გრძელვადიანი სესხის სახე, რომლის უზრუნველყოფაც ხორციელდება უძრავი ქონებით.

### *ამანათებით მომსახურება*

ჯგუფი ამანათებით მომსახურების საქმიანობას უერთდება 2010 წელიდან მისი მთავარი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საფოსტო საქმიანობა, პერსონალური და ონლაინ ამანათების ტრანსპორტირება ევროპიდან და ამერიკიდან.

2017 წლიდან ჯგუფის საქმიანობის სფეროს ემატება საკუთარი სატვირთო მანქანებით, დამკვეთთა ტვირთების საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვის მომსახურება, სატრემინალო და საბროკერო მომსახურება.

### *სატელეკომუნიკაციო მომსახურება*

ჯგუფი ბაზარს სთავაზობს სატელეფონო სერვისს რომელსაც იყენებს 15000 ზე მეტი ფიზიკური პირი და 500 ზე მეტი ურიდიული პირი. 2007 წლიდან 2015 წლამდე თანამშრომლობა ხდებოდა ძირითადად

იურიდიულ პირებთან. 2015 წლიდან დაიწყო საცალო ბაზარზე უკვე ფიზიკური პირებისთვის თავის სერვისის შეთავაზება.

2007 წლიდან დღემდე კომპანიამ გააფართოვა მისი მომსახურების არეალი და ახლა უკვე ჩვენი გუნდი პარტნიორებს და მომხმარებლებს სთავაზობს თანამდროვე ტექნოლოგიების ბაზარზე არსებულ სხვადასხვა სახის სერვისს, რომელიც ნებისმიერ სფეროში მოღვაწე კომპანიას ბიზნესის განვითარებასა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესებაში დაეხმარება, ხოლო ფიზიკურ პირებს აძლევს საშუალებას დაზოგონ ფული სატელეფონო საუბრის დროს.

იურიდიულ პირებზე გაყიდვები ხორციელდება სატელეფონო შეთავაზებით. პოტენციურ აბონენტს უკავშირდება გაყიდვების მენეჯერი და სთავაზობს ე.წ. საოფისე PBX-ის (ატეესის) მოწყობას. სთავაზობს საერთაშორისო მიმართულებებით ზარებს იაფი ტარიფით, სთავაზობს ინტუიტიურ ავტომოპასუხეს, რიგს შემომავალ ზარებზე, შიდა ნომრებს და ა.შ. დაინტერესების შემთხვევაში ძირითადად მენეჯერი მიდის შეხვედრაზე და შეთანხმების შემდგომ უკვე ხდება ხელშეკრულების გაფორმება.

საცალო გაყიდვები ძირითადად ხორციელდება ონლაინ, ან აგენტების მეშვეობით. მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება აბონენტების მოზიდვა. კლიენტს ტელეფონში ვუწერთ მობილურის აპლიკაციას (inexPHONE) და აპლიკაციის განოყენებით ახორციელებს ზარებს.

### *ტურისტული მომსახურება*

ჯგუფი ტურისტულ ბაზარს შემოუერთდა 2010 წლიდან. 2013 წელს განიცადა რებრენდინგი და ტურისტულ სფეროში გამოიყენება მისი კომერცული სახელი Inex Travel. კომპანია საქმიანობას ეწევა როგორც შემომყვან, ასევე გამყვან ტურიზმში. კომპანია არის იატასა (International Air Transport Associatio) და ტურიზმის ასოციაციის წევრი.

გამყვან ტურიზმში გამოდის ტურაგენტი, მისი შემოსავალი არის საკომისიო, ანუ სხვაობა მგზვარის მიერ გადახდილ თანხასა და ტუროპერატორთან თუ ავიაკომპანიასთან გადახდილ თანხას შორის. კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის საცალო კლიენტები და ე.წ სუბაგენტები, ანუ სხვა ტურისტული კომპანიები, რომლებიც ჩვენი საშუალებით ახორციელებენ ავიაბილეთების რეალიზაციას. ასევე კომპანიას ყავს კორპორატიული კლიენტები.

შემომყვან ტურიზმში, კომპანია წარმოადგენს ტუროპერატორს, რომელიც თავისით აწყობს ტურპაკეტებს, მოიძიებს ტურისტებს, აწვდის შეთავაზებას და უშუალოდ ახორციელებს ტურს.

### *კერამიკული ფილებით ვაჭრობა*

ჯგუფმა კერამიკული ფილებით ვაჭრობა დაიწყო 2018 წელს, იგი ცნობილი იტალიური ბრენდის „KERAMA MARAZZI“-ის ოფიციალურ წარმომადგენლობას წარმოადგენს საქართველოში. მიუხედავად იმისა რომ ეს მიმართულება ჯგუფის არსებული მიმართულებებიდან ცოტა განხვავებული მიმართულებაა, სწორად დაგეგმილი მენეჯმენტის საშუალებით კომპანიამ მალევე მოახერხა ცნობადობის გაზრდა და თავის დამკვიდრება კერამიკული ნაწარმით ვაჭრობის ბაზარზე.

ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს მაღალი ხარისხის პროდუქტის ფართო ასორტიმენტს. სპეციალურად მომხმარებლებისთვის მოაწყო „sowroom“ და მომხმარებელს მისცა საშუალება მარტივად და ნაკლები დროის დანაკარგის გარეშე გააკეთოს არჩევანი. კომპანია ცდილობს ასორტიმენტი მოარგოს მომხმარებლის ყველა სეგმენტს, იგი მომხმარებელს სთავაზობს საქონელს ხარისხორივი მახასიათებლებით, ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია შეარჩიოს მისთვის მისაღები პროდუქტი მისთვის მისაღებ ფასად. მენეჯმენტი ორგანიზებულად ახდენს ფულადი სახსრების ბრუნვას და არ ზრდის მარაგს თავისი შეხედულებისამებრ, მარაგის შეკვეთა მომწოდებელთან ხორციელდება, იმ კონკრეტული პროდუქციის მიხედვით რომლის მოთხოვნაც არის მომხმარებლის მხრიდან, გარდა ამისა სისტემატიურად ხდება „sowroom“ განახლება და წარმოებიდან ამოღებული ფილების ჩანაცვლება ახალი კოლექციებით.

ამ ყველაფერან ერთად მენეჯმენტი მომხმარებელს სთავაზობს დიზაინერულ მომსახურებას, დამატებითი ანაზრაურების გარეშე. მომხმარებლის მიერ შერჩეული ფილების საშუალებით დიზაინერი სთავაზობს დიზაინის რამდენიმე ვარიანტს, საიდანაც მომხმარებელი არჩევს მისთვის მისაღებს.

### *გეოგრაფიული დაფარვის არეალი*

ჯგუფის გეოგრაფიული დაფარვის არეალი ძირითადი საქმიანობის სფეროების მიხედვით გარდა საქართველოსი ამ დროისთვის მოიცავს ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის რიგ ქვეყნებს. ჯამში 70-ზე მეტი ქვეყნის ბაზარზე არის წარმოდგენილი პირდაპირ ან პარტნიორების ქსელის სახით.

### *ინფორმაცია ფილიალების შესახებ*

ჯგუფი საქართველოს მასშტაბით საქმიანობას 2018 წელს ახორციელებდა ფილიალიალებისა და სერვის ცენტრების მეშვეობით.

გზავნილებისა და კონვერტაციების მიმართულებით ფილიალები წარმოდგენილია: თბილისში, ქუთაისში, გორში, რუსთავში, ბათუმში, თელავში, ზუგდიდში, ახალქალაქსა და ზესტაფონში. ფილიალები მომხმარებელს მომსახურებას სთავაზობენ ყოველდღე სამუშაო საათებში, ხოლო აქტიურ ზონებში კი 24 საათიან რეჟიმში.

ამანათების მიმართულებით, ჯგუფი მოიცავს მთელ საქართველოს, ოფისები აქვს რეგიონებსა და საქართველოს მთავარ ქალაქებში, ასევე სოფლებსა და რაიონებში ყავს აგენტები, რომელთა საშუალებითაც ხდება ამანათების მიწოდება მომხმარებელამდე.

თბილისის მასშტაბით აქვს 5 ძირითადი ფილიალი, 2 ფილიალი ქუტაისში, ასევე ფილიალები წარმოდგენილია ბათუმში, გორში, რუსთავში, ზესტაფონში, თელავსა და ზუგდიდში.

ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ბაზარზე მოქმედ ისეთ კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: სს „თიბისი ბანკი“; სს „საქართველოს ბანკი“; სს „ლიბერთი ბანკი“; სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“; სს „ბაზის ბანკი“; სს „ტერაბანკი“; სს „ქართუ ბანკი“; სს „სილქ როუდ ბანკი“; ს.ს. კრედო ბანკი; სს მისო „კრისტალი“; შპს მისო „სმარტ ფინანსი“; სს მისო „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო სრულად ცენტრალიზებულია, რაც ნიშნავს, რომ კომპანიის მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა მიიღოს შესაბამისი მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 700 ზე მეტი წერტილიდან ნებისმიერში, რომელშიც წარმოდგენილია სისტემა საკუთარი ფილიალებისა თუ პარტნიორების მეშვეობით.

### *ინფორმაცია ჯგუფის ძირითადი პარტნიორების შესახებ*

ჯგუფის საქმიანობა ძირითადად მოიცავს პარტნიორი კომპანიებთან წარმატებულ თანამშრომლობას. ძირითადი პარტნიორები წარმოდგენილები არიან: საბერძნეთში, დიდ ბრიტანეთში და იტალიაში. დასახელებულ ქვეყნებში არსებულ კომპანიებს შორის გაფორმებულია სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ფუნდამენტურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ერთობლივად.

ამანათების მომსახურების კუთხით კომპანიის ძირითად პარტნიორებს წარმოადგენენ არარეზიდენტი იურიდიული პირები, რომელთაც ვუწევთ მომსახურებას ან ისინი გვემსახურებიან, ესენია: Alliance cargo express (აშშ), Allways Freight UK LTD ( ბრიტანეთი), Inex Commercial LTD ( ბრიტანეთი), INEX GROUP LTD (საბერძნეთი), INEX EXPRESS S.A (იტალია), Spartak Logistic di Paitchadze Melkise(იტალია), Inex Group LLC (აშშ).

ადგილობრივ ბაზარზე ჩვენი მთავარი პარტნიორები არიან: შპს ლასარე, შპს საქართველოს ფოსტა. ასევე ბანკები: სს ქართუ ბანკი, ტერა ბანკი, ლიბერთი ბანკი, ბაზის ბანკი და თიბისი ბანკი

სატელეკომუნიკაციო სფეროში ძირითადი პარტნიორები არიან საკმაოდ მსხვილი და ცნობადი კომპანიები საქართველოში, ესენია:

შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“, შპს „ახალი ქსელები“, შპს „ვიონი საქართველო“ (ბილაინი), შპს „კავკასუს ონლაინი“, შპს „ჯეონეთი“.

გარდა ადგილობრივი პარტნიორებისა კომპანია თანამშრომლობს უცხოელ პარტნიორებთანაც: სპიდფლოუ, სპარკლი (ტელეკომ იტალია), დოიჩე ტელეკომი, ამიმექსი, ბრილიანტ ტელეკომი

გადახდების განხორციელება შესაძლებელია, ფეიფალის, TBC ბანკისა და კლუარინგ ცენტრის მეშვეობითაც

## ჯგუფის განვითარების გეგმა

რამდენადაც ფულადი გზავნილების და ამანათების სფეროში ჯგუფის მომხმარებელთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ საქართველოდან, ყოფილი დსთ-სა და შორეული აზიის ქვეყნებიდან ოჯახის შესანახად უცხოეთში წასული ემიგრანტები, ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მიგრაციის ტენდენციებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ განვითარებაზე. საერთაშორისო ფულადი გზავნილების კუთხით, კომპანია აქცენტს აკეთებს ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებიდან, დსთსა და შორეულ აზიაში ფულად გზავნილებზე.

### მიგრაციის ტენდენციები

საქართველოსა და უკრაინის მიგრაციის მახასიათებლები მნიშვნელოვნად ემსგავსება ერთმანეთს. ორივე ქვეყანამ დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში მიიღო ვიზალიბერალიზაცია, რასაც შედეგად მაღალი ალბათობით მოჰყვება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოსა და უკრაინის მოსახლეობის გადინება. ასევე, პოლიტიკურ სარბიელზე რუსეთსა და უკრაინა - საქართველოს შორის არსებულმა დამაბულმა მდგომარეობამ გამოიწვია ამ უკანასკნელი სახელმწიფოების მოსახლეობის რუსეთში ემიგრირებული ნაწილის გადანაწილება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, რომელთა ტერიტორიაზეც ჩვენი სისტემა საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი პარტნიორების მეშვეობით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სისტემა ინტელექსპრესის ძირითად კონკურენტებს ამ უკანასკნელ ქვეყნებში წარმოადგენენ რუსული სისტემები, რომელთაც შედარებით უჭირთ ევროპაში ადგილის დამკვიდრება.

ბაზრის ანალიზი ცხადყოფს, რომ მაღალია ფულადი გზავნილების ბაზარზე რუსეთის წილის შემცირების ტენდენცია და ამ წილის ევროპის ქვეყნებზე, კერძოდ: საბერძნეთზე, იტალიაზე, გერმანიაზე, ესპანეთსა და პოლონეთზე გადანაწილება. დღევანდელი მდგომარეობით, მსგავსი სიტუაციაა მოლდოვაშიც. ეს უკანასკნელი ქვეყნები წარმოადგენენ ევროპის სწორედ იმ ქვეყნებს, სადაც სისტემა ინტელექსპრესი გეგმავს აქტიურად განვითარდეს უახლოესი 3 წლის განმავლობაში.

ამასთანავე, ევროპის ქვეყნების გარდა მიგრაციის ტენდენციები შეინიშნება თურქეთში, გაერთიანებულ სამეფოებსა და ისრაელში, სადაც ჩვენი სისტემა აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა სისტემასთან და უახლოეს მომავალში ელოდება ფულადი გზავნილების ნაკადების ზრდას.

ზემოთ ნაჩვენები უკრაინისა და საქართველოდან მიგრაციის ტენდენციების გარდა, დაახლოებით იგივე არეალს მოიცავს მოლდოვა-სომხეთის მიგრაციული არეალიც. უშუალოდ ეს ოთხი სახელმწიფოც გამოირჩევა ურთიერთ მიგრაციული ნაკადებით, რაც ინტელექსპრესის სისტემის განვითარებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. სისტემა ოთხივე ქვეყანაში პირდაპირ და ცენტრაზილებული სახით არის წარმოდგენილი და ერთ-ერთ სტრატეგიულ ნაწილს წარმოადგენს ამ ბაზარებზე წამყვანი პოზიციების დაკავება.

ჯგუფის მომავალი სტრატეგიული განვითარების განუყოფელი ნაწილია აშშ ბაზარზე სრულფასოვანი დაფარვის არეალის შექმნა და აშშ-დან პირველ რიგში დსთ, საქართველოს და უკრაინის მიმართულებით გზავნილების ბაზარზე თავის დამკვიდრება.

გარდა ამისა ვაგვითარებთ და ვაუმჯობესებთ შორეული აზრის მიმართულებით დაფარვის და სერვისის არეალს. ამჟამად თანხის გაგზავნა შესაძლებელია: ფილიპინებში, ნეპალში, ბანგლადეშში, ინდონეზიაში და პაკისტანში. უახლოსი 3 წლის განმავლობაში იგეგმება რომ უფრო მეტად გავზარდოთ დაფარვისა და სერვისის არეალი საკუთრივ ამ ქვეყნებში და ზოგადად ქვეყნების რაოდენობაც.

### **ონლაინ პლატფორმა**

21-ე საუკუნე ციფრული საუკუნეა. ჯგუფი 2020 წლისთვის გეგმავს სწრაფი ონლაინ ფულადი გზავნილების მომსახურების დანერგვას და ევროპის ქვეყნებში ახალი ბაზრების ათვისებას. დღევანდელი მდგომარეობით, მთლიანი ფულადი გზავნილების ბაზრის დაახლოებით 5% ირიცხება ონლაინ ფულად გზავნილებზე, თუმცა უახლოეს წლებში მეტად სავარაუდოა აღნიშნული მაჩვენებლის რადიკალურად გაზრდა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, გენერალური პარტნიორის მიერ მოპოვებული საგადახდო ინსტიტუტის ევროპული ლიცენზია, რომელიც აძლევს კომპანიას საშუალებას ბრენდის ქოლგის ქვეშ განახორციელოს/მიიღოს ონლაინ გადახდები ევროპის მასშტაბით.

### **საკრედიტო საქმიანობა და კონვერტაციები**

ჯგუფის საკრედიტო საქმიანობის ძირითადი წილი შემოიფარგლება სალომბარდე სესხებით.

კომპანია 2019 წლიდან დაიწყო გააქტიურებას იპოთეკური სესხების მიმართულებით და მიზანია საგრძნობლად გაიზარდოს ამგვარი სესხების ხვედრითი წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში.

2015 წელს კომპანიამ მოიპოვა MasterCard-ის ძირითადი წევრობის ლიცენზია, რის საფუძველზეც კომპანიას მიენიჭება უფლებამოსილება მოახდინოს საკრედიტო ბარათების ემისია. კომპანია 2020 წელს გეგმავს საკრედიტო ბარათების გამოშვებას მისი ერთგული მომხმარებლებისათვის.

### **ამანათებით მომსახურება და ტრანსპორტირება**

ჯგუფი გეგმავს უკვე არსებული შეთავაზებების დახვეწას, გაიმჯობესებასა და განვითარებას, რადგან მაქსიმალურად მოერგოს მომხმარებლის ყველა სეგმენტს, აღმოფხვრას ყველანაირი ლაფსუსი და მაქსიმალური კმფორტი შეუქმნას მომხმარებელს.

ჯგუფს დაგეგმილი აქვს მომსახურების არიალის გაზრდა, საერთაშორისო დონეზე. ახალი ქვეყნების და მიმართულებების დამატება, ახალი საერთაშორისო პარტნიორების მოძიება.

2019 წლის აგვისტოდან ამანათების ტრანსპორტირება მოხდება უკვე ჩინეთდანაც.

ასევე იგეგმება შიდა გადაზიდვების, ლოჯისტიკური და საკურიერო მომსახურების მიმართულების განვითარება, ფილიალების და აგენტების ქსელის გაუმჯობესება და განვითარება.

### **სატელეკომუნიკაციო მომსახურება**

ჯგუფი გეგმავს ფიზიკური პირების სეგმენტზე გამოყენოს გაყიდვების პრომოუშენი დიჯიტალ მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებით. გაზარდოს იურიდიულ პირებზე სააბონენტო ნომრების გაცემა გაყიდვების მენეჯერების სატელეფონო შეთავაზებების გზით. ასევე დაგეგმილი აქვს საცალო და საბითუმო ზარის წამოწყება/დასრულების ზრდა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან მოლაპარაკებების წარმოების გზით.

### *რისკების მართვა*

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რისკებთან, რომელთა გაანალიზებაზე, შეფასებასა და მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფაზეც ჯგუფი ზრუნავს გამუდმებით. მის წინაშე არსებული ძირითადი რისკები მოიცავს: საკრედიტო, ლიკვიდობის, საოპერაციო, სამართლებრივსა და სისტემურ რისკებს.

#### **საკრედიტო რისკი**

მთავარი საკრედიტო რისკი, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას წარმოადგენს პარტნიორების/აგენტების მიერ კომპანიის წინაშე არსებული დაუფარავი ვალდებულებების არსებობა. საკრედიტო რისკის კონტროლი ხორციელდება კომპანიის რისკების დეპარტამენტის მიერ, პარტნიორების/აგენტების ფინანსურ ანგარიშგებათა ყოველწლიური შესწავლის/ანალიზისა და მათი მდგომარეობიდან გამომდინარე შესაბამისი ლიმიტებისა და ვალდებულებათა მაქსიმალური ზღვრების დაწესების საფუძველზე. აღნიშნული ლიმიტებისა და ზღვრების გადახედვა (გაზრდა/შემცირება), ისევე როგორც ანგარიშსწორებების სიხშირე შესაძლოა შეიცვალოს არსებული მაჩვენებლების საფუძველზე.

#### **ლიკვიდობის რისკი**

ჯგუფი მართავს დღიური ლიკვიდობის პოზიციებს და რისკებს იმისათვის, რომ დროულად შეასრულოს საგადასახადო და საანგარიშსწორებო ვალდებულებები, როგორც ნორმალურ ასევე სტრესულ გარემოში, და უზრუნველყოს საგადასახადო და საანგარიშსწორებო სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირება. საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც მარეგულირებელი, აკონტროლებს ლიკვიდობის პოზიციებს. 2018 წელს, მიკროსაფინანსებისთვის დაწესებული მინიმალური ლიკვიდობის კოეფიციენტი გახლდათ 18%, ხოლო ჯგუფის ლიკვიდობის კოეფიციენტი წლის ბოლოს 38% გახლდათ. საოპერაციო რისკების კონტროლი ხდება მენეჯმენტის სხვადასხვა დონეებზე და საგანგებო სიტუაციებში (2008წ ომი, პარტნიორი სისტემისგაკოტრება 2014 წელს და ა.შ.). იკრიბება საოპერაციო რისკების კომიტეტი და ხდება პრობლემის განხილვა და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება.

#### **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკების მნიშვნელობა წინა პლანზე კომპანიისათვის ბოლო პერიოდში წამოიწია. საოპერაციო რისკები თავის თავში აერთიანებს, როგორც ტექნიკურ რისკებს (პროგრამულ და ქსელურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ), ისე ფორს-მაჟორულ სიტუაციებს. მსგავსი რისკების მინიმიზაციისათვის ჯგუფს შემუშავებული აქვს ე.წ. „Business continuity plan“, ანუ გეგმა თუ როგორ უნდა იმოქმედოს კომპანიამ ზოგადად და უშუალოდ სისტემა ინტელექსპრესმა ასეთი საშიშროებების დადგომის შემთხვევაში (მაგ.: ომი, ბუნებრივი სტიქია თუ სხვა).

## სამართლებრივი რისკი

საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, შეინიშნება საფინანსო სექტორში განხორციელებული ძირეული ცვლილებები, რომლებიც ხორციელდება ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავებისა თუ საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე. სამართლებრივი რისკები თავის თავში აერთიანებს საკანონმდებლო ცვლილებებითა და მარეგულირებელი ორგანოების მიერ შემუშავებული ახალი რეგულაციებით კომპანიაზე ახალი მოთხოვნებისა და შეზღუდვების გავრცელებას. ეს უკანასკნელი აერთიანებს შესაბამის ნებართვებთან დაკავშირებულ საკითხებს, საკრედიტო სფეროში საფინანსო სექტორისათვის შემუშავებულ შეზღუდვებსა და ა.შ.

საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილების საკითხი სულ უფრო მეტად გახდება აქტუალური, რაც საქართველო დაუახლოვდება ევროკავშირში არსებულ სტანდარტებს. ამ მხრივ მოსალოდნელია რეგულაციების რაოდენობისა და მათ მიერ მოწესრიგებული არეალის გაფართოება, განსაკუთრებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის, პერსონალურ მონაცემთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში. შესაბამისად, ჯგუფის იურიდიული სამსახური, აქტიურად ადევნებს თვალყურს არა მხოლოდ ქართულ, არამედ ასევე შესაბამის ევროპულ საკანონმდებლო აქტებს და წარმატებულად ახერხებს უზრუნველყოს ახალი რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებთან კომპანიის საქმიანობის შესაბამისობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი რეგულაციები ახალ ბიზნეს შესაძლებლობებსაც იძლევა კომპანიისთვის.